საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სიღარიბის მაჩვენებლები და ჯინის კოეფიციენტები

2024

29.05.2025
www.geostat.ge

29.05.2025

სიღარიბის მაჩვენებლები და ჯინის კოეფიციენტები

2024 წელი

აბსოლუტური სიღარიბე

2024 წელს საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი) წინა წელთან შედარებით 2.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9.4 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, 2010-2024 წლებში.

დიაგრამა №1

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი

(%)



2024 წელს აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი ქალაქის ტიპის დასახლებებში 1.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 3.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.9 პროცენტს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი ქალაქ-სოფლის მიხედვით, 2010-2024 წლებში.

დიაგრამა №2

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი ქალაქ-სოფლის მიხედვით

(%)



2024 წელს, სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში. კერძოდ, 18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მაჩვენებელმა 12.1 პროცენტი შეადგინა (-4.0 პროცენტული პუნქტი), 18-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 9.3 პროცენტი (-2.1 პროცენტული პუნქტი), ხოლო 65 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფში - 6.7 პროცენტი (-1.3 პროცენტული პუნქტი).

აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი, როგორც ქალებისათვის, ასევე კაცებისათვის, შემცირებულია 2.4 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 9.0 და 9.8 პროცენტი შეადგინა.

29.05.2025

ფარდობითი სიღარიბე

2024 წელს მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 0.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 18.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 0.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 6.7 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მედიანური მოხმარების 60 პროცენტის და მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, 2010-2024 წლებში.

დიაგრამა №3

ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები
(%)



ჯინის კოეფიციენტები

2024 წელს, წინა წელთან შედარებით, ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობა, როგორც მთლიანი შემოსავლების, ასევე მთლიანი სახსრების მიხედვით, შემცირდა 0.02-ით და 0.35 შეადგინა, ხოლო მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების და მთლიანი ხარჯების მიხედვით არ შეცვლილა და შესაბამისად 0.36 და 0.40 შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ჯინის კოეფიციენტი მთლიანი შემოსავლების და მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით, 2015-2024 წლებში.

დიაგრამა №4

ჯინის კოეფიციენტი მთლიანი შემოსავლების და მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge